ხელშეკრულება № 29
გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

09 ოქტომბერი 2019 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ.შ. ელენე შაბურიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს ''გეფა'' (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის ხელმძღვანელის კახაბერ ხაჩიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ბიუჯეტის სახსრებით მედიკამენტების (CPV:33600000) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 272,00(ორას სამოცდა თორმეტილარი)ლარი.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (ქ. თბილისი, შარტავას # 20).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით

გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

მის: ქ. თბილისი, შარტავას # 20 ტელ: 2371275 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE04LB0121134002649001 **შემსყიდველი:** სსიპ - ქალაქ თბილისის № 62 საჯარო სკოლა ს/კ 211351605 **დირექტორის მ.შ. ელენე შაბურიშვილი** _____ (ხელმოწერა) მ.ა	**მიმწოდებელი:** სს ''გეფა'' 201991229 მის.:თბილისი ა.ბელიაშვილის N142 ტელ.: საბანკო რეკვიზიტები: ს/ს თიბისი ბანკი ბანკის კოდი UGEBGE22 ა/ა GE47T 7000000004353602 **კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის ხელმძღვანელი** **კახაბერ ხაჩიძე** _____

GEPHA JSC

Digitally signed by GEPHA JSC
Date: 2019.10.09 13:54:08 +04'00'

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია:

№	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1	ხელთათმანი ა	ცალი	100	0,240	24,022
2	ლეიკო სტერილური 5სმ/7,5სმ არაქსოვილოვანი	ცალი	50	0,297	14,829
3	ლეიკო სტერილური 5სმ/9,0 არაქსოვილოვანი	ცალი	60	0,350	20,997
4	ლეიკო სტერილური 9სმ/15 არაქსოვილოვანი	ცალი	15	0,884	13,257
5	ლეიკოპლასტირი ''სტარბანტიN10	ცალი	300	0,0276	8,274
6	ნახშირი ტაბლეტი 250გრ	ცალი	500	0,0175	8,749
7	ციტრამონ ''პ''ტაბლეტი	ცალი	400	0,01900	7,592
8	კეტოროლაკი ტაბლეტი 10მგ N20	ცალი	20	0,0534	1,068
9	კომპაქტი-სვ.ხელსახოცი ოტომანი4400N120	ცალი	240	0,04125	9,900
10	წყალბადის ზეჟანგი სპრეი 3% 100მლ.	ცალი	2	1,658	3,316
11	ეთანოლი სამედიცინო ხსნარი 95%	ცალი	3	2,333	6,700
12	ბამბა სამედიცინო 100გრ	ცალი	4	0,89900	3,594
13	ბრილიანტის მწვანე ხსნარი 1%	ცალი	3	0,617	1,851
14	კორსიზი ტაბლეტი N100	ცალი	100	0,14001	14,001
15	ნო-შპა ტაბლეტი	ცალი	100	0,117	11,700
16	პიტნის ნაყენი 25მლ ფლაკონიN1	ცალი	2	0,563	1,127
17	კბილის წვეთები 10მლ ფლაკონი N 1	ცალი	2	0,83900	1,679
18	კატაბალახას ნაყენი	ცალი	4	0,78900	3,156
19	კორვალოლი წვეთები25მლ	ცალი	2	0,67900	1,358

20	ნატრიუმის ქლორიდი ხსნარი0,9%	ცალი	20	0,17530	3,505
21	პარაცეტამოლი ტაბლეტი500მგ N20	ცალი	80	0,0654	5,231
22	ფიზიოლოგიური წვ.თვალის 0,9% 5მლ	ცალი	25	0,34617	8,655
23	ბინტი არასტერილური	ცალი	7	0,599	4,193
24	ბინტი სტერილური	ცალი	7	0,676	4,733
25	სუპრასტინი ტაბლეტი25მგ.N20	ცალი	20	0,26185	5,237
26	კაპტოპრილი 25მგ	ცალი	10	0,13860	1,385
27	კაპტოპრილი 50მგ	ცალი	10	0,23100	2,308
28	ბეტადინი ხსნარი გარეგანი 10%	ცალი	1	18,399900	18,399
29	ნუროფენი ტაბლეტი 200მგ N 24	ცალი	120	0,28904	34,684
30	იოდის სპირტ-ხსნარი 5% 10მლ ფლაკონი	ცალი	3	0,389	1,166
31	ალბუციდი წვეთები თვალის 20% 5მლ გლაკონი N1	ცალი	1	1,385	1,385
32	ალბუციდი წვეთები თვალის 30% 5მლ გლაკონი N1	ცალი	1	1,40	1,40
33	იმოდიუმი კაფსულა 2მგ N20	ცალი	20	0,48740	9,748
34	სალფეტკი სტერილური 5/5სმ 0798 N5	ცალი	50	0,07880	3,944
35	ბადიაგა დაჟეჟილობების საწ გელი 100მლ. ტუბი104 N1	ცალი	1	3,30100	3,301
36	ლევომეკოლ მეკოლი მალამო 30რ ტუბ N1	ცალი	1	1,201	1,201
37	შპრიცი 10 მლ დგუშით 21G	ცალი	5	0.139	0.697
38	შპრიცი 5 მლ დგუშით 22G	ცალი	10	113	1,127
39	შპრიცი 3 მლ დგუშით 23G	ცალი	10	0,086	0,86
40	წლბადის ზეჟანგის ხსნარი 3%1000მლ ფლაკონი	ცალი	3	0,561	1,382
	ჯამი				272,009(ორას სამოცდა თორმეტი)ლარი

სსიპ - ქალაქ თბილისის № 62 საჯარო
სკოლის დირექტორის მ.შ. /ე.შაბურიშვილი/

კორპორატიული გაყიდვების / კ.ხაჩიძე/

დეპარტამენტის ხელმძღვანელი